ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 99
(CPV79112000)

ქ. გორი 2019წელი

ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მერის, კონსტანტინე თავზარაშვილის სახით, შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „საადვოკატო კომპანია – სისვაძე, სულაკაძე და ნეფარიძე“ (ს/კ 400195800), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბესიკ სისვაძის სახით, შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი“, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1 ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის იურიდიული მომსახურების, კერძოდ, სასამართლოში საპროცესო წარმომადგენლობის გაწევა **(CPV79112000).**

2. იურიდიული მომსახურება მოიცავს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების წარმოდგენასა და დაცვას პირველი ინსტანციის სასამართლოში, კერძოდ, გორის რაიონული სასამართლოში, ამ სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე შპს „გრანდ ემ“-ის (ს/კ 218046763) სარჩელის გამო მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ. ამ საქმის დავის საგანია ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა და საკუთრების უფლების აღდგენა.

მუხლი 2 მხარეთა ვალდებულებები

1. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები:

ა) მიმწოდებელი, თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისა თუ ზეწოლისგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ბ) მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულება.

გ) მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველისაგან საქმესთან დაკავშირებული მასალების (დოკუმენტაციის) მისთვის დროული გადაცემა, ასევე მომსახურების თანხის დროული გადახდა.

დ) მიმწოდებელი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების გაწევისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ე) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების გაწევისას “მიმწოდებლის” მხრიდან მარწმუნებლის ინტერესებს დაიცავს მიმწოდებელი კომპანიის ადვოკატი გიორგი სულაკაძე. ამასთან, “მიმწიდებელი” უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება და საჭიროების გათვალისწინებით ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების – საპროცესო წარმომადგენლბის შესრულებაში დამატებით ჩააბას მასთან დასაქმებული სხვა ადვოკატი.

2. შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:

ა) შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ანგარიში გაწეული სამუშაოსა და საქმის მიმდინარეობის შესახებ.

გ) შემსყიდველი ვალდებულია კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი და ბოროტად, არამიზნობრივად არ ისარგებლოს მიმწოდებლის პროფესიული მომსახურებითა და დროით.

დ) შემსყიდველი ვალდებულია გასცეს შესაბამისი მინდობილობა მიმწოდებლის მიერ წარდგენილ ადვოკატზე (ან ადვოკატებზე), რომელმაც უნდა წარმოადგინოს და დაიცვას გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესები გორის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე შპს „გრანდ ემ"-ის სარჩელის გამო, რომლის დავის საგანია ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა და საკუთრების უფლების აღდგენა.

ე) შემსყიდველი ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს, გააცნოს და გადასცეს მიმწოდებელს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, დოკუმენტები და მასალები ასლების სახით, საჭიროების შემთხვევაში – დედნების სახით.

ვ) შემსყიდველი ვალდებულია დროულად გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების საფასური.

ზ) შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს მიმწოდებლისგან გაწეული იურიდიული მომსახურება, თუკი იგი შეესაბამება ხსენებული მომსახურებისთვის საქართველოში დამკვიდრებულ ზოგად სტანდარტებს.

თ) შემსყიდველი ვალდებულია თავისი ყველა სამართლებრივი თუ სხვა მოთხოვნა მიმწოდებლის მიმართ შეუსაბამოს შიდა კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლის მოქმედ მატერიალურ თუ საპროცესო კანონმდებლობას.

ი) შემსყიდველი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, საკუთარი სახსრებით, დროულად თარგმნოს და/ან ნოტარიულად დაამოწმებინოს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და მასალები.

კ) შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო, სააღსრულებო, ასევე სხვა ნებისმიერი დავალების შესრულებისათვის საჭირო ბაჟების (ხარჯების) გადახდა.

მუხლი 3. ინტერესთა კონფლიქტი

1. მიმწოდებელი, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა ჩაერთოს ნებისმიერ საქმიანობაში ან გარიგებაში, რომელიც ინტერესთა კონფლიქტში მოდის წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან ან გარკვეულ საფრთხეს უქმნის/აფერხებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

მუხლი 4. მომსახურებების ანაზღაურება

1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს **4 900** (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

2. შემსყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება აანაზღაუროს შპს „გრანდ ემ"-ის სარჩელის საფუძველზე, ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის და საკუთრების უფლების აღდგენის შესახებ დავის ფარგლებში წარმოებულ საქმეზე გორის რაიონული სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში. კეთილსინდისიერი, გულისხმიერი და პროფესიული ეთიკის შესაბამისი მომსახურების პირობებში გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არაა დამოკიდებული საქმის შედეგზე და მიუხედავად შემსყიდველისათვის არასასურველი გადაწყვეტილების გამოტანისა, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს სრულად გადაუხადოს შეთანხმებული თანხა.

მუხლი 5. წამომადგენლობის ფარგლები

1. მიმწოდებელი უნდა დაემორჩილოს წარმომადგენლობის მიზნებთან დაკავშირებულ შემსყიდველის გადაწყვეტილებებს და უნდა შეათანხმოს მათი განხორციელების საშუალებები.

2. შემსყიდველის იურიდიული წარმომადგენლობის განხორციელების დროს მიმწოდებელი იღებს დამოუკიდებელ პროფესიულ გადაწყვეტილებას და უზრუნველყოფს ობიექტურ მომსახურებას.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გიორგი ბატონისაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

მუხლი 7. მომსახურების მიწოდების ვადები

1 მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 20 დეკემბრამდე.

2 საქმის წარმოებიდან გამომდინარე მომსახურების მიწოდების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და გრძელდება 2020 წლის 31 იანვრამდე.
2. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ამ ხელშეკრულების მხარეთა მიერ.
3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულენაზე, რომლის თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „საადვოკატო კომპანია – სისვაძე, სულაკაძე და ნეფარიძე"
ს/კ 218086087	მის: თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, კ. 16, ბ.36
მისამართი : ქ.გორი ფერაძის №5	ს/კ 400195800
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი"
მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკის კოდი : BAGAGE22
ბანკის კოდი TRESGE22	ა/ნ : GE16BG0000000150445000
მიმღების ანგარიში, 3008464	
---	---
გორის მუნიციპალიტეტის მერი	**დირექტორი**
კონსტანტინე თავზარაშვილი	**ბესიკ სისვაძე**

Gori Municipality

Digitally signed by Gori Municipality
Date: 2019.09.09 15:39:35 +04'00'